„დამბინძურებელი იხდის"

ხშირად დასმული კითხვები

გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის სისტემის შესახებ

2021

პუბლიკაცია მომზადებულია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის მიერ გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) და შვედეთის მთავრობის ხელშეწყობით. გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და შეიძლება არ ასახავდეს დონორი ორგანიზაციების თვალსაზრისს.

ავტორები:

ნელი კორკოტაძე

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, მთავარი სახელმწიფო ინსპექტორი

არჩილ ადამია

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის იურიდიული სამსახურის უფროსი

აკაკი ველთაური

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის სამართალშემოქმედების სამმართველოს ხელმძღვანელი

დიზაინერი:

თამარ გორჯოლაძე

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის გრაფიკული დიზაინერი

გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის სისტემის დანერგვა

„გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ" საქართველოს კანონს შემოაქვს სრულიად ახალი გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის მექანიზმი, რომლის მიხედვით პირი, რომელიც გარემოს მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებს, ვალდებული იქნება, გადაიხადოს არა თანხა, არამედ გაატაროს გარემოს აღსადგენად საჭირო გამოსასწორებელი ღონისძიებები წინასწარ განსაზღვრული გეგმა-გრაფიკის შესაბამისად. გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის არსი გამოიხატება იმაში, რომ პირი, რომელმაც გარემოს ზიანი მიაყენა, თავად არის ვალდებული, გამოასწოროს ეს ზიანი და ასევე ამ ზიანის გამოსასწორებლად გაწიოს შესაბამისი ხარჯები.

ამავდროულად, კანონის მიღება განპირობებულია, ერთი მხრივ, საქართველოსა და მეორე მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების 306-ე მუხლიდან გამომდინარე, რომლის თანახმადაც საქართველო ვალდებულია, მოახდინოს ეროვნული კანონმდებლობის დაახლოება წინამდებარე შეთანხმების XXVI დანართში მითითებულ ევროკავშირის საკანონმდებლო აქტებთან და საერთაშორისო სამართლებრივ ინსტრუმენტებთან.

კერძოდ კი, ქვეყანა ვალდებულია, გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ 2004 წლის 21 აპრილის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2004/35/EC დირექტი-ვასთან ჰარმონიზაციის მიზნით, განსაზღვროს კომპეტენტური ორგანო, რომელიც პასუხისმგებელი იქნება გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხებზე, ამავდროულად, შექმნას სამართლებრივი მექანიზმები გარემოსათვის მიყენებული ზიანის პრევენციის/შერბილების/აღმოფხვრის მიზნით, შემოიღოს მკაცრი გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის სამართლებრივი რეგულირება იმ საქმიანობებისათვის, რომელიც მოცემულია ზემოაღნიშნულ დირექტივაში, დააწესოს საქმიანობის განმახორციელებელი სუბიექტისათვის კონკრეტული ვალდებულებები ზიანის პრევენციის/შერბილების/აღმოფხვრისათვის და უზრუნველყოს საზოგადოების ჩართულობა ამ პროცესებში. სწორედ აღნიშნული დირექტივის მოთხოვნების

გათვალისწინებით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ შემუშავდა საქართველოს კანონი ,,გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ".

კანონის მიღებით ჩამოყალიბდა ევროპულ სტანდარტებთან დაახლოებული გარემოს-დაცვითი პასუხისმგებლობის სისტემა, რომელიც ეფუძნება „დამბინძურებელი იხდის" პრინციპს და რომლის მიზანიც არის გარემოსთვის მიყენებული ზიანის პრევენცია, აღმოფხვრა/შერბილება და აღდგენა.

კანონის შემუშავებაში ჩართული იყო საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სხვადასხვა დარგობრივი სამსახური, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლები და იურისტები. ამავდროულად, საქართველოს პარლამენტის მიერ კანონის მიღებამდე, კანონპროექტის შესახებ ჩატარ-და საჯარო განხილვები და თემატური კონსულტაციები, მათ შორის ბიზნესომბუდსმენის ოფისის ჩართულობით არაერთი შეხვედრა გაიმართა ბიზნესასოციაციებისა და საქართველოში მოქმედი მსხვილი ბიზნესის წარმომადგენლებთან.

კანონი ,,გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ" საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა 2021 წლის 2 მარტს.

„გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ"
საქართველოს კანონი

საკვანძო საკითხების შესახებ კითხვები და პასუხები

„დამბინძურებელი იხდის"

რა არის გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობა?

გარემოსთვის მიყენებული ზიანის შერბილება და აღდგენა

1 რა არის გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობა?

გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობა გულისხმობს პირის ვალდებულებას, გამოასწოროს მის მიერ გარემოსთვის მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანი, გამოსასწორებელი ღონისძიებების განხორციელებით.

2 რა შემთხვევაშია გარემოსთვის მიყენებული ზიანი მნიშვნელოვანი და რომელი კრიტერიუმების შესაბამისად?

გარემოსთვის მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანის კრიტერიუმები განსაზღვრულია ,,გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ" საქართველოს კანონის N1 დანართით:

1 ბიომრავალფეროვნება

ა) საქართველოს „წითელი ნუსხის" შემდეგ კატეგორიებში შეტანილი 1 ინდივიდი მაინც განადგურდა ან ისე დაზიანდა, რომ წარმოიქმნა მისი განადგურების საფრთხე:

- გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ტაქსონი — *EN (Endangered)*
- გადაშენების უკიდურესი საფრთხის წინაშე მყოფი ტაქსონი — *CR (Critically Endangered)*
- ეროვნულ დონეზე გადაშენებული ინდივიდი — *RE (Regionally extinct)*

ბ) „ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის კონვენციით" (ბერნის კონვენციით):

- მკაცრად დაცული სახეობის 1 ინდივიდი მაინც, რომელიც ამავდროულად შეტანილია საქართველოს „წითელი ნუსხის“ შემდეგ კატეგორიებში: გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ტაქსონი — *EN (Endangered)*, გადაშენების უკიდურესი საფრთხის წინაშე მყოფი ტაქსონი — *CR (Critically Endangered)*, ეროვნულ დონეზე გადაშენებული ინდივიდი — *RE (Regionally extinct)*, განადგურდა ან ისე დაზიანდა, რომ წარმოიქმნა მისი განადგურების საფრთხე

- დაცული სხვა, დანარჩენი სახეობების ინდივიდები განადგურდა ან ისე დაზიანდა, რომ წარმოიქმნა მათი ეროვნული ან ადგილობრივი პოპულაციების განადგურების საფრთხე

- სახელმწიფო ნაკრძალი, ეროვნული პარკი, ბუნების ძეგლი, აღკვეთილი მთლიანად ან ნაწილობრივ (მთლიანი ფართობის 0,01%-ზე მეტი) განადგურდა ან შექმნის მიზანი ან/და დანიშნულება დაეკარგა

- ზურმუხტის ქსელის ტერიტორია ისე დაზიანდა, რომ შექმნის მიზანი ან/და დანიშნულება დაეკარგა

- რამსარის კონვენციით აღიარებული ტერიტორია ისე დაზიანდა, რომ შექმნის მიზანი ან/და დანიშნულება დაეკარგა

- ტყის 0.5 ჰექტარზე მეტი ფართობი ისე დაზიანდა/განადგურდა, რომ ამ ტყემ დაკარგა მისთვის განსაზღვრული ფუნქცია და შეუძლებელია მისი ნაწილობრივი ან სრული აღდგენა

2 მიწა

ა) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის 500 კვ.მ ან მეტი ფართობი დაბინძურებულია (დაბინძურების დონე ორჯერ ან მეტჯერ აღემატება საბაზისო მდგომარეობას) ან სრულად დეგრადირებულია

ბ) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის 1 500 კვ.მ ან მეტი ფართობი დაბინძურებულია (დაბინძურების დონე აღემატება საბაზისო მდგომარეობას) ან/და დეგრადირებულია

გ) სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე არსებული მიწის 500 კვ.მ ან მეტი ფართობი დაბინძურებულია (დაბინძურების დონე აღემატება საბაზისო მდგომარეობას) ან/და დეგრადირებულია

დ) ზურმუხტის ქსელის, რამსარის ან/და ნებისმიერი კატეგორიის დაცულ ტერიტორიაზე არსებული მიწის 250 კვ.მ ან მეტი ფართობი დაბინძურებულია (დაბინძურების დონე აღემატება საბაზისო მდგომარეობას) ან/და დეგრადირებულია

3 წყალი

ა) ზედაპირული წყლის ობიექტი დაიშრიტა (მდინარის შემთხვევაში დაიშრიტა მდინარის კალაპოტი არანაკლებ 500 მეტრის მანძილზე)

ბ) ზედაპირული წყლის ობიექტში ჩაშვებულ ჩამდინარე წყალში დამბინძურებელ ნივთიერებათა რაოდენობა ათჯერ ან მეტჯერ აღემატება დადგენილ ნორმებს

გ) წყლის ობიექტზე მავნე ზემოქმედებამ თევზის რესურსი გაანადგურა

3 რომელია კანონის მიხედვით გარემოსთვის განსაკუთრებით საშიში საქმიანობები?

- გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის I დანართით გათვალისწინებული საქმიანობები
- საქმიანობები, რომლებისთვისაც გაცემულია გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება ან/და 2018 წლის 1 იანვრამდე გაცემულია გარემოზე ზემოქმედების სფეროში შესაბამისი აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი
- საქმიანობები, რომლებისთვისაც გაცემულია მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილება ან რომლებიც ექვემდებარება ამ გადაწყვეტილების გაცემას

- გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის II დანართით გათვალისწინებული საქმიანობები, რომლებიც იმავე კოდექსით გათვალისწინებული სკრინინგის პროცედურის შედეგად დაექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების შეფასებას

- საქართველოს კანონის ,,ნარჩენების მართვის კოდექსი" 26-ე მუხლის I ნაწილის „დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქმიანობა (არანაკლებ 2 ტონა და არაუმეტეს 10 ტონა სახიფათო ნარჩენის დროებითი შენახვის ობიექტის მოწყობა და ოპერირება)

- სახიფათო ტვირთების გადაზიდვა, რომელიც შედის „ტექნიკური რეგლამენტის — „სატრანსპორტო საშუალებებით სახიფათო ტვირთების გადაზიდვის წესის" დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 თებერვლის N89 დადგენილების რეგულირების სფეროში

- სახიფათო ტვირთის გადაზიდვა, რომელიც შედის „საჰაერო ტრანსპორტით სახიფათო ტვირთის გადაზიდვის წესის დამტკიცების შესახებ" სსიპ — სამოქა-ლაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2013 წლის 27 დეკემბრის N263 ბრძანების რეგულირების სფეროში

- ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიით გათვალისწინებული საქმიანობა

- სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზიით გათვალისწინებული საქმიანობა

- საქართველოს ტყის კოდექსით გათვალისწინებული ხე-ტყის დამზადება

4 რა არის მკაცრი გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობა?

პასუხისმგებლობა, რომელიც ეკისრება საქმიანობის განმახორციელებელ პირს, მიუხედავად მისი ბრალეულობისა, თუ კანონით განსაზღვრული „მნიშვნელოვანი ზიანის განმსაზღვრელი კრიტერიუმების“ (კანონის N1 დანართი) შესაბამისად, მნიშვნელოვანი ზიანი გამოწვეულია „გარემოსთვის განსაკუთრებით საშიში საქმიანობების“ (კანონის N2 დანართი) განხორციელებით ან ამ საქმიანობიდან გამომდინარე ვალდებულების შეუსრულებლობით. აღნიშნულ შემთხვევაში პირისთვის მკაცრი გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის დასაკისრებლად მისი ბრალეულობის დამტკიცება საჭირო არ არის.

5 რა შემთხვევაში დგება პირის გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობა?

გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობა პირს შეიძლება დაეკისროს იმ შემთხვევაში, თუ მის მიერ ჩადენილი უკანონო ქმედებით გარემოს მიადგა კანონის N1 დანართით გათვალისწინებული მნიშვნელოვანი ზიანი ან თუ სახეზეა მკაცრი გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობა.

გასათვალისწინებელია, რომ გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობა არ დაეკისრება პირს, თუ ზიანი გამოწვეულია ისეთი უარყოფითი ზემოქმედებით, რომელიც წინასწარ იყო განსაზღვრული, ამასთანავე, აღნიშნულ ქმედებაზე უფლებამოსილ ორგანოს გაცემული ჰქონდა შესაბამისი უფლების მიმნიჭებელი დოკუმენტი ან თანხმობა.

6 ვის ვერ დაეკისრება გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობა?

გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობა ვერ დაეკისრება ფიზიკურ პირს (გარდა „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ინდივიდუალური მეწარმისა). აღნიშნულ შემთხვევაში ფიზიკურ პირს დაეკისრება ზიანის ფულადი სახით ანაზღაურების ვალდებულება.

7 რა შემთხვევებზე არ ვრცელდება საქართველოს კანონი „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“?

კანონის მოქმედება არ ვრცელდება:

- გარემოსთვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენების შემთხვევაზე, რომელიც გამოწვეულია:

ფორსმაჟორული სიტუაციით	შეიარაღებული კონფლიქტით

ეროვნულ უსაფრთხოებასთან, ეროვნულ თავდაცვასთან ან/და საერთაშორისო უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მოქმედებებით

- იმ შემთხვევაზე, როდესაც შეუძლებელია იმ პირის იდენტიფიცირება, რომლის უკანონო ქმედებამ გარემოს ზიანი ან მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს პირისთვის მკაცრი გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი)

- კერძო მესაკუთრისთვის ზიანის მიყენებაზე

- დიფუზური ემისიით (ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება, ხმაური, ვიბრაცია, ელექტრომაგნიტური გამოსხივება) გამოწვეულ შემთხვევაზე
- ამ კანონის ამოქმედებამდე განხორციელებული ქმედებით გარემოსთვის მიყენებულ ზიანსა და გარემოსთვის მიყენებულ მნიშვნელოვან ზიანზე
- ფიზიკური პირის (გარდა „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ინდივიდუალური მეწარმისა) ქმედებით გარემოსთვის მიყენებულ ზიანსა და გარემოსთვის მიყენებულ მნიშვნელოვან ზიანზე
- შავ ზღვაში მცურავი საშუალებიდან ან საქართველოს ტერიტორიაზე სატრანზიტო ტვირთის გადაზიდვისას გარემოსთვის მიყენებულ ზიანსა და გარემოსთვის მიყენებულ მნიშვნელოვან ზიანზე
- სასარგებლო წიაღისეულისთვის მიყენებულ ზიანსა და მნიშვნელოვან ზიანზე
- ბირთვული და რადიაციული საქმიანობით გარემოსთვის მიყენებულ ზიანსა და გარემოსთვის მიყენებულ მნიშვნელოვან ზიანზე
- „ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით მოწესრიგებულ, მწვანე ნარგავების დაზიანების, განადგურებისა და ამოძირკვის, აგრეთვე მათი განზრახ დაზიანებისა და განადგურების შედეგად გარემოსთვის მიყენებული ზიანის/გარემოსთვის მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანის ანაზღაურების წესსა და ოდენობასთან დაკავშირებულ საკითხებზე

8 თუ პირმა სასარგებლო წიაღისეულით სარგებლობის პროცესში გამოიწვია გარემოს დაზიანება, ეკისრება თუ არა მას გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობა?

პირს გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობა დაეკისრება, თუ მისი საქმიანობის შედეგად გარემოს (ბიომრავალფეროვნება, მიწა ან წყალი) დაზიანება შეესაბამება კანონით განსაზღვრული მნიშვნელოვანი ზიანის განმსაზღვრელ კრიტერიუმებს (კანონის N1 დანართი).

9 თუ პირის მიერ განხორციელდა სასარგებლო წიაღისეულის უკანონო სარგებლობა და ზიანი მნიშვნელოვანია, ეკისრება თუ არა პირს გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობა?

არა, პირს არ ეკისრება გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობა, რადგან კანონის მოქმედება არ ვრცელდება სასარგებლო წიაღისეულისთვის მიყენებულ ზიანსა და მნიშვნელოვან ზიანზე. ასეთ შემთხვევაში პირი ვალდებული იქნება გარემოზე მიყენებული ზიანი აანაზღაუროს ფულადი სახით.

10 თუ პირის საქმიანობის შედეგად ხდება ატმოსფერულ ჰაერში დიდი რაოდენობით მავნე ნივთიერებების გაფრქვევა, ეკისრება თუ არა მას გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობა?

პირს არ დაეკისრება გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობა, რადგან კანონის მოქმედება არ ვრცელდება დიფუზური ემისიით (ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება, ხმაური, ვიბრაცია, ელექტრომაგნიტური გამოსხივება) გამოწვეულ შემთხვევაზე.

ასეთ შემთხვევაში პირის მიმართ გამოყენებული იქნება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი სანქციები.

11 გარემოსთვის ზიანის მიყენების შემთხვევაში კვლავ დაეკისრება თუ არა დამრღვევებს ზიანის ფულადი სახით ანაზღაურება?

თუ პირის უკანონო ქმედებით გარემოს ზიანი მიადგა, თუმცა გარემოს დაზიანების დონე არ შეესაბამება კანონის N1 დანართით („მნიშვნელოვანი ზიანის განმსაზღვრელი კრიტერიუმები“) დადგენილ კრიტერიუმებს, ასევე ფიზიკური პირის მიერ ან სასარგებლო წიაღისეულისთვის მიყენებული ზიანის/მნიშვნელოვანი ზიანის შემთხვევაში პირი ვალდებულია, გარემოსთვის მიყენებული ზიანი/გარემოსთვის მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანი ფულადი სახით აანაზღაუროს.

გარემოსთვის მიყენებული ზიანის/გარემოსთვის მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანის ფულადი სახით ანაზღაურების წესს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით ადგენს საქართველოს მთავრობა.

12 რა ძირითადი განსხვავებაა გარემოსთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების ამჟამად მოქმედ მექანიზმსა და გარემოსდაცვით პასუხისმგებლობას შორის?

ამჟამად მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, თუ პირის უკანონო ქმედებით გარემოს მიადგა ზიანი, ის ვალდებულია, აანაზღაუროს ეს ზიანი სახელმწიფო ბიუჯეტში, შესაბამისი ფორმულით გამოანგარიშებული კონკრეტული თანხის გადახდით და აღნიშნული თანხა არ ხმარდება გარემოსთვის მიყენებული შესაბამისი ზიანის გამოსწორებას და გარემოს აღდგენას.

,,გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ" საქართველოს კანონს შემოაქვს განსხვავებული მიდგომა გარემოსთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, კერძოდ, თუ გარემოს მიადგება კანონის N1 დანართით გათვალისწინებული მნიშვნელოვანი ზიანი, ზიანის მიყენებაზე პასუხისმგებელი პირი ვალდებული იქნება, თავისი სახსრებით გამოასწოროს მის მიერ გარემოსთვის მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანი, უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული ღონისძიებათა გეგმის შესაბამისად.

13 ვინ უზრუნველყოფს პირისთვის გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის დაკისრებას?

გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის დაკისრებაზე პასუხისმგებელ ორგანოს წარმოადგენს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი.

14 ვის ევალება გარემოსთვის მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანის გამოსასწორებელი ღონისძიებების გეგმის შემუშავება?

გარემოსთვის მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანის გამოსასწორებელი ღონისძიებების გეგმის შემუშავების ვალდებულება აქვს გარემოსთვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენებაზე პასუხისმგებელ პირს.

მნიშვნელოვანი ზიანის მიყენებისთვის პასუხისმგებელი პირის მიერ მნიშვნელოვანი ზიანის გამოსასწორებელი ღონისძიებების განსაზღვრის კრიტერიუმებსა და მნიშვნელოვანი ზიანის გამოსასწორებელი ღონისძიებების გეგმის შედგენის წესს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.

15 ვინ არის პასუხისმგებელი გარემოსთვის მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანის გამოსასწორებელი ღონისძიებების გეგმის განხილვასა და შეთანხმებაზე?

გარემოსთვის მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანის გამოსასწორებელი ღონისძიებების გეგმის განხილვასა და შეთანხმებაზე პასუხისმგებელი ორგანოა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი გარემოს ეროვნული სააგენტო.

16 რა რიგითობა უნდა იყოს დაცული გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის ან მკაცრი გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის დაკისრებისას, ზიანის გამოსასწორებელი ღონისძიებების განხორციელებისთვის?

მნიშვნელოვანი ზიანის მიყენებისთვის პასუხისმგებელი პირისთვის გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის ან მკაცრი გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის დაკისრება გულისხმობს ამ პირის დავალდებულებას, განახორციელოს მნიშვნელოვანი ზიანის გამოსასწორებელი ღონისძიებები. მათი განხორციელებისას აუცილებელია შემდეგი რიგითობის დაცვა:

- გარემოს პირვანდელ (ზიანის მიყენებამდე არსებულ) მდგომარეობაში აღდგენა
- გარემოს პირვანდელ (ზიანის მიყენებამდე არსებულ) მდგომარეობასთან მიახლოებულ მდგომარეობამდე აღდგენა
- დაზიანებული ტერიტორიის მიმდებარე ან სხვა ტერიტორიაზე მნიშვნელოვანი ზიანის გამოსასწორებელი სანაცვლო/ადეკვატური ღონისძიებების განხორციელება

მნიშვნელოვანი ზიანის გამოსასწორებელი ღონისძიებების განსაზღვრისას თავდაპირველად უნდა დადგინდეს შესაძლებელია თუ არა დაზიანებული გარემოს პირვანდელ (ზიანის მიყენებამდე არსებულ) მდგომარეობაში აღდგენა.

თუ დაზიანებული გარემოს პირვანდელ (ზიანის მიყენებამდე არსებულ) მდგომარეობაში აღდგენა შესაძლებელია გონივრულ ვადაში და აღნიშნული არათანაზომიერ ხარჯებს არ მოითხოვს, მნიშვნელოვანი ზიანის მიყენებისთვის პასუხისმგებელ პირს ეკისრება გარემოს პირვანდელ (ზიანის მიყენებამდე არსებულ) მდგომარეობაში აღდგენის ვალდებულება.

თუ დადგინდა, რომ დაზიანებული გარემოს პირვანდელ (ზიანის მიყენებამდე არსებულ) მდგომარეობაში აღდგენა შეუძლებელია ან აღნიშნულის განხორციელება გონივრულ ვადაში შეუძლებელია ან არათანაზომიერ ხარჯებს მოითხოვს, მნიშვნელოვანი ზიანის მიყენებისთვის პასუხისმგებელ პირს ეკისრება გარემოს პირვანდელ (ზიანის

მიყენებამდე არსებულ) მდგომარეობასთან მიახლოებულ მდგომარეობამდე აღდგენის ვალდებულება.

თუ დადგინდა, რომ დაზიანებული გარემოს პირვანდელ (ზიანის მიყენებამდე არსებულ) მდგომარეობასთან მიახლოებულ მდგომარეობამდე აღდგენა შეუძლებელია ან აღნიშნულის განხორციელება გონივრულ ვადაში შეუძლებელია ან არათანაზომიერ ხარჯებს მოითხოვს, მნიშვნელოვანი ზიანის მიყენებისთვის პასუხისმგებელ პირს ეკისრება დაზიანებული ტერიტორიის მიმდებარე ან სხვა ტერიტორიაზე მნიშვნელოვანი ზიანის გამოსასწორებელი სანაცვლო/ადეკვატური ღონისძიებების განხორციელების ვალდებულება.

17 ვის ევალება გარემოსთვის მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანის გამოსასწორებელი ღონისძიებების გეგმის შესრულებაზე სახელმწიფო კონტროლის განხორციელება?

გარემოსთვის მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანის გამოსასწორებელი ღონისძიებების გეგმის შესრულებაზე სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი.

18 რა არის გარემოსდაცვითი პროგრამა?

გარემოსდაცვითი პროგრამა არის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში არსებული ანგარიში, რომელზეც აკუმულირდება თანხები გარემოსთვის ზიანის მიყენების პრევენციის, დაზიანებული გარემოს მდგომარეობის აღდგენის, გარემოს მდგომარეობის გაუმჯობესებისა და გარემოს კვლევის ღონისძიებების დასაფინანსებლად.

19 რას შეიძლება მოხმარდეს გარემოსდაცვითი პროგრამის თანხები?

გარემოსდაცვითი პროგრამის თანხები შეიძლება მოხმარდეს მხოლოდ:

1. გარემოსთვის ზიანის მიყენების პრევენციას
2. გარემოს მდგომარეობის აღდგენას
3. გარემოს მდგომარეობის გაუმჯობესებას
4. გარემოს კვლევას

20 ვინ განკარგავს გარემოსდაცვითი პროგრამის სახსრებს?

გარემოსდაცვითი პროგრამის სახსრებს განკარგავს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო გარემოსდაცვითი პროგრამის კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე. გარემოსდაცვითი პროგრამის კომისია შედგება საქართველოს საკანონმდებლო ხელისუფლებისა და აღმასრულებელი ხელისუფ-ლების წარმომადგენლებისა და დაინტერესებული პირებისგან.

21 როგორ გადაწყდება გარემოზე მიყენებული იმ ზიანის ანაზღაურება, რომელიც მოხდა „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ" საქართველოს კანონის ამოქმედებამდე?

2022 წლის 1 ივლისამდე პირის მიერ განხორციელებული უკანონო ქმედებით გამოწვეული ზიანი/მნიშვნელოვანი ზიანი დაანგარიშდება და ანაზღაურდება 2022 წლის 1 ივლისამდე არსებული წესით, ხოლო თუ 2022 წლის 1 ივლისამდე განხორციელებული უკანონო ქმედებით გარემოსთვის ზიანის/მნიშვნელოვანი ზიანის მიყენებისთვის პირს დაკისრებული არ აქვს ამ ზიანის/მნიშვნელოვანი ზიანის ანაზღაურების ვალდებულება (არ არსებობს კანონიერ ძალაში შესული შესაბამისი გადაწყვეტილება), მას უფლება აქვს, 2022 წლის 1 დეკემბრამდე მიმართოს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს და მოითხოვოს კანონით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის ან მკაცრი გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის დაკისრების პროცედურების მასზე გავრცელება. თუ პირი გამოიყენებს ამ უფლებას, იგი დაკარგავს უფლებას, აანაზღაუროს ზიანი/მნიშვნელოვანი ზიანი 2022 წლის 1 ივლისამდე არსებული წესით.

22 რას წარმოადგენს გარემოსთვის ზიანის მიყენების რისკის ფინანსური უზრუნველყოფის მექანიზმი და ვისზე ვრცელდება ის?

,,გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ" საქართველოს კანონის N2 დანართით („გარემოსთვის განსაკუთრებით საშიში საქმიანობები") გათვალისწინებული საქმიანობის განმახორციელებელი პირი ვალდებულია, აღნიშნული საქმიანობის დაწყებისთანავე და მისი განხორციელებისას ჰქონდეს შესაბამისი, გარემოსთვის ზიანის მიყენების რისკის ფინანსური უზრუნველყოფის საშუალება.

გარემოსთვის განსაკუთრებით საშიში საქმიანობის განხორციელებით გარემოსთვის

ზიანის მიყენების რისკის ფინანსური უზრუნველყოფის წესს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით ადგენს საქართველოს მთავრობა.

გარემოსთვის ზიანის მიყენების რისკის ფინანსური უზრუნველყოფის სახეებია:

1 დაზღვევა

2 საბანკო გარანტია

23 როგორ ხდება გარემოსთვის ზიანის მიყენების რისკის ფინანსური უზრუნველყოფის ოდენობის განსაზღვრა და რა ეტაპებს მოიცავს?

გარემოსთვის ზიანის მიყენების რისკის ფინანსური უზრუნველყოფის ოდენობა განისაზღვრება გარემოსთვის ზიანის მიყენების რისკის შეფასების საფუძველზე და მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

24 ვისზე არ ვრცელდება გარემოსთვის ზიანის მიყენების რისკის ფინანსური უზრუნველყოფის ვალდებულება?

გარემოსთვის ზიანის მიყენების რისკის ფინანსური უზრუნველყოფის ვალდებულება არ ვრცელდება საბიუჯეტო დაწესებულებაზე.

გარემოსთვის განსაკუთრებით საშიში საქმიანობის განხორციელებით გარემოსთვის ზიანის მიყენების რისკის ფინანსური უზრუნველყოფის წესს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით ადგენს საქართველოს მთავრობა.

25 როდიდან შედის ძალაში გარემოსთვის ზიანის მიყენების რისკის ფინანსური უზრუნველყოფის მექანიზმის ვალდებულება?

ვალდებულება ძალაში შედის 2023 წლის 1 ივლისიდან.

26 რა ვადაში იღებს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი გადაწყვეტილებას მნიშვნელოვანი ზიანის არსებობის შესახებ?

დეპარტამენტი აღნიშნულ გადაწყვეტილებას იღებს ზიანის გამოვლენიდან არაუგვიანეს 120 კალენდარული დღისა.

მნიშვნელოვანი ზიანის არსებობის შესახებ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის გადაწყვეტილების გასაჩივრება არ აჩერებს მის მოქმედებას.

27 შესაძლებელია თუ არა რამდენიმე პირს ერთდროულად დაეკისროს გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობა?

დიახ, შესაძლებელია. თუ მნიშვნელოვანი ზიანის მიყენებისთვის პასუხისმგებელი პირი რამდენიმეა, მათ სოლიდარული პასუხისმგებლობა დაეკისრებათ.

28 რა ვადაში უნდა წარედგინოს გარემოს ეროვნულ სააგენტოს მნიშვნელოვანი ზიანის გამოსასწორებელი ღონისძიებების გეგმის პროექტი?

პირი ვალდებულია, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ მნიშვნელოვანი ზიანის არსებობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 180 კალენდარული დღისა, გარემოს ეროვნულ სააგენტოს წარუდგინოს მნიშვნელოვანი ზიანის გამოსასწორებელი ღონისძიებების გეგმის პროექტი (მასში მითითებული უნდა იყოს ღონისძიებების ჩამონათვალი და მათი განხორციელების ვადები).

მნიშვნელოვანი ზიანის გამოსასწორებელი ღონისძიებების გეგმის პროექტს თან უნდა ერთვოდეს აუდიტორის/აუდიტორული კომპანიის მიერ დადასტურებული ამ გეგმის პროექტის ხარჯთაღრიცხვა.

29 არის თუ არა უზრუნველყოფილი საზოგადოების მონაწილეობა გარემოზე მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანის გამოსასწორებელი ღონისძიებების გეგმის განხილვისა და შეთანხმების პროცესში და რა ვადაა განსაზღვრული კანონის შესაბამისად?

დიახ, მნიშვნელოვანი ზიანის გამოსასწორებელი ღონისძიებების განსაზღვრაში დაინტერესებული პირების მონაწილეობის საკითხები გათვალისწინებულია კანონის მე-10 მუხლით:

- გარემოს ეროვნული სააგენტო მნიშვნელოვანი ზიანის გამოსასწორებელი ღონისძიებების გეგმის პროექტს მისთვის წარდგენიდან 5 კალენდარული დღის ვადაში განათავსებს თავის ოფიციალურ ვებ-გვერდზე

- დაინტერესებულ პირებს უფლება აქვთ, მნიშვნელოვანი ზიანის გამოსასწორებელი ღონისძიებების გეგმის პროექტის სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსებიდან 20 კალენდარული დღის ვადაში ამ ვებ-გვერდზე განათავსონ ან/და გარემოს ეროვნულ სააგენტოს მატერიალურად წარუდგინონ საკუთარი მოსაზრებები/შენიშვნები გეგმის პროექტთან დაკავშირებით

- გარემოს ეროვნული სააგენტო 10 კალენდარული დღის ვადაში იხილავს დაინტერესებული პირების მოსაზრებებს/შენიშვნებს და საჭიროების შემთხვევაში უგზავნის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენებისთვის პასუხისმგებელ პირს ამ მოსაზრებებს/შენიშვნებს მნიშვნელოვანი ზიანის გამოსასწორებელი ღონისძიებ-ების გეგმის პროექტში გასათვალისწინებლად

- მნიშვნელოვანი ზიანის მიყენებისთვის პასუხისმგებელი პირი ვალდებულია, დაინტერესებული პირების მოსაზრებების/შენიშვნების მიღებიდან 45 კალენდარული დღის ვადაში სააგენტოს შესათანხმებლად წარუდგინოს ამ მოსაზრებების/შენიშვნების გათვალისწინებით გადამუშავებული მნიშვნელოვანი ზიანის გამოსასწორებელი ღონისძიებების საბოლოო გეგმა

- თუ მნიშვნელოვანი ზიანის მიყენებისთვის პასუხისმგებელი პირი არ გაითვა-ლისწინებს დაინტერესებული პირების მოსაზრებებს/შენიშვნებს მნიშვნელოვანი

ზიანის გამოსასწორებელი ღონისძიებების გეგმის პროექტთან დაკავშირებით, იგი ვალდებულია (45 კალენდარული დღის ამოწურვამდე), სააგენტოს წარუდგინოს აღნიშნული მოსაზრებების/შენიშვნების გათვალისწინებაზე უარის თქმის დასაბუთება. ეს დასაბუთება განთავსდება სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

30 რა პასუხისმგებლობას ითვალისწინებს კანონმდებლობა „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ" საქართველოს კანონის დარღვევისთვის?

„გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ" საქართველოს კანონის დარღვევისთვის გათვალისწინებულია როგორც ადმინისტრაციული, ასევე სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა.

ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა გათვალისწინებულია „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ" საქართველოს კანონის შემდეგი მუხლებით: მე-17-დან 25-ე მუხლის ჩათვლით. ჯარიმის ოდენობები სხვადასხვა დარღვევისთვის მერყეობს 1 000 ლარიდან 80 000 ლარამდე, ხოლო სამართალდარღვევის განმეორების შემთხვევაში ჯარიმები ორმაგდება.

რაც შეეხება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას, აღნიშნული რეგულირდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 306[2] მუხლით (უკანონო ქმედებით გარემოსთვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენება).

31 როდიდან იქნება შესაძლებელი პირისთვის გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის დაკისრება?

გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის დაკისრების მექანიზმის ამოქმედება განსაზღვრულია 2022 წლის 1 ივლისიდან.

13. წყაროები

საქართველოს კანონი „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“, ხელმისაწვდომია https://matsne.gov.ge/ka/document/view/5109151?publication=0

ასოცირების შეთანხმება ერთის მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრს სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის, ხელმისაწვდომია https://mfa.gov.ge

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 თებერვლის N190 დადგენილება საქართველოს „წითელი ნუსხის“ დამტკიცების შესახებ, ხელმისაწვდომია https://matsne.gov.ge/ka/document/view/2256983?publication=0

ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის კონვენცია, ხელმისაწვდომია https://matsne.gov.ge/ka/document/view/1486280?publication=0

საქართველოს კანონი „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“, ხელმისაწვდომია https://matsne.gov.ge/ka/document/view/3691981?publication=7

საქართველოს კანონი „ნარჩენების მართვის კოდექსი“, ხელმისაწვდომია https://matsne.gov.ge/ka/document/view/2676416?publication=11

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 თებერვლის N89 დადგენილება ტექნიკური რეგლამენტის - „სატრანსპორტო საშუალებებით სახიფათო ტვირთების გადაზიდვის წესის“ დამტკიცების თაობაზე, ხელმისაწვდომია https://matsne.gov.ge/ka/document/view/4485078?publication=0

სსიპ - სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2013 წლის 27 დეკემბრის ბრძანება N263 „საჰაერო ტრანსპორტით სახიფათო ტვირთის გადაზიდვის წესის“ დამტკიცების შესახებ, ხელმისაწვდომია https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/2150466?publication=0

საქართველოს კანონი „საქართველოს ტყის კოდექსი“, ხელმისაწვდომია https://matsne.gov.ge/ka/document/view/4874066?publication=1

საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“, ხელმისაწვდომია https://matsne.gov.ge/ka/document/view/4962987?publication=0

საქართველოს კანონი „ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“, ხელმისაწვდომია https://matsne.gov.ge/ka/document/view/17380?publication=13

საქართველოს კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი“, ხელმისაწვდომია https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=235

ევროპარლამენტის და საბჭოს 2004/35/EC დირექტივა „გარემოსთვის ზიანის მიყენების თავიდან აცილების და აღმოფხვრისთვის გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ (ინგლისურ ენაზე), ხელმისაწვდომია https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=celex%3A32004L0035

სასარგებლო ბმულები

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	mepa.gov.ge
გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი	eiec.gov.ge
გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი	des.gov.ge
გარემოს ეროვნული სააგენტო	nea.gov.ge

შენიშვნები

შენიშვნები

რა არის გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობა?

„დამბინძურებელი იხდის"

ზიანის გამოსასწორებელი ღონისძიებები

eiec.gov.ge

გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი

info@eiec.gov.ge

+995 32 2 11 20 23

თბილისი, 0159, მარშალ გელოვანის გამზ. 6

გარემოსდაცვითი პროგრამა

გარემოსთვის მიყენებული ზიანის შერბილება და აღდგენა